პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 86 (7397)

5 მაისი, 1983 წ. ხუთშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

## 5 მაისი ბეჭდვითი სიტყვის დღე

# „ლელოს“ კორ.

გვარი, სახელის ინიციალი და ეს ორი სიტყვა — „ლელოს“ კორ.“— ჩვეულებრივ მასალის ბოლოს რომ აქვს მიჩენილი ადგილი — ახლა სათაურშია გამოტანილი. მკითხველი უკვე კარგად იცნობს ჩვენს ავტორებს, იცნობს მათ ხელწერას, მოუთმენლად ელის მისი აზრით ყველაზე საინტერესო ჟურნალისტის კორესპონდენციას, სტატიას, ნარკვევს, ჩანახატს, რეპორტაჟს...

თითქმის ხუთი ათეული წელიწადია გამოდის ჩვენს რესპუბლიკაში სპორტული გაზეთი, თითქმის ხუთი ათეული წელიწადია „ჩვენი კორესპონდენტები“ მასალებს გვაწვდიან ბათუმიდან და სოხუმიდან, ქუთაისიდან და სამტრედიიდან, ბაკურიანიდან და ბორჯომიდან, ჭიათურიდან და საჩხერედან, თელავიდან და გურჯაანიდან, ახალქალაქიდან და ბოგდანოვკიდან, ლანჩხუთიდან, რუსთავიდან...

რეკავენ ტელეფონები, ჟურნალ-გაზეთებითა და წერილებით დატვირთულ „დეიდა მაროს“ მოაქვს ცხელ-ცხელი კორესპონდენციები: სანაქებო თუ კრიტიკული სტრიქონები. მათ უკან ადამიანები დგანან, გაზეთის კორესპონდენტები, მისი ფხიზელი გუშაგები, ფუტკარივით მონდომებულნი, კალმით, ბლოკნოტითა და ფოტოაპარატით შეიარაღებული ადამიანები. მათ ძალიან უყვართ თავიანთი საქმე, ძალიან უყვართ სპორტი და დღეინიადაგ ზრუნავენ მის კეთილდღეობაზე. რომელი ერთი გავიხსენოთ, გაზეთის მუშაკთა ამ საზეიმო დღეს — პრესის საკავშირო დღეს: სოფიკო ხეთაგაშვილი და ნუგზარ ქარელი, ლამარა ხეცურიანი და ლევან ტრაპაიძე, იორამ ნიკოლეიშვილი და კიმ ოვანოვლიანი, ბიბი ალშიბაია და ავთანდილ ორმოცაძე, რაუდენ გაბრიჭიძე და კარლო სალუქვაძე, გია ახალაძე და არტიომ მალაიანცი, გაბრიელ ბარჯაძე და ოთარ კუსიანი, ვაჟა დანელია და ილია თევდორაშვილი, გიორგი ფამილიანტი და ევგენი მელიქსეთბეგი, დავით გეგენავა, ლერი ფაჩუაშვილი, შოთა ნიჟარაძე, ვლადიმერ მელქოევი, ვანო კუტალაძე...

დღეს გვინდა გიამბოთ ერთ მათგანზე — „ლელოს“ აჭარელ კორესპონდენტ ოთარ მურვანიძეზე.

იხ. მე-4 გვ.




## 165 წლის წინათ დაიბადა კარლ მარქსი



## ქალაქის სიჭაბუკე

სარატოვის ოლქის ქალაქ მარქსის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ტექნიკუმი სამართლიანად ამაყობს თავისი ფიზკულტურელებით. სპორტში ვარჯიშს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კომუნისტური აღზრდისა და ყოველმხრივი მომზადების საქმეში.

• • •

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ქალაქის ნორჩი სპორტსმენები სათხილამურო როზე; ტექნიკუმის კალათბურთელი ქალები ვარჯიშის დროს; ერთდროული თამაშის სეანსს ატარებს ტექნიკუმის მასწავლებელი, პირველთანრიგოსანი ი. კომაროვი.

საკდესის ფოტო.



# საქართველოს სპორტკომიტეტში

ამ რამდენიმე დღის წინ ესპანეთის ქალაქ ალიკანტეში დიდოსტატმა ნანა ალექსანდრიამ ქალთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მეოთხედფინალურ მატჩში ანგარიშით 5,5:4,5 დაამარცხა ტატიანა ლემაჩკო (შვეიცარია) და ნახევარფინალის საგზური მოიპოვა.

გუშინ ნ. ალექსანდრიას გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს საქართველოს სპორტკომიტეტში. დიდოსტატმა ილაპარაკა ძნელი მატჩის პერიპეტიებზე, რესპუბლიკის მოჭადრაკე ქალთა პრობლემებზე, მომავლის გეგმებზე. მან მადლობა გადაუხადა სპორტკომიტეტის ხელმძღვანელობას, ჭადრაკის ყველა ქომაგს დიდი მხარდაჭერისთვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ რ. გოგლიძემ მიულოცა ნ. ალექსანდრიას საპატიო გამარჯვება, მსოფლიო პირველობისთვის ბრძოლის შემდგომ ეტაპზე გასვლა, გადასცა სამახსოვრო საჩუქარი და ახალი წარმატებები უსურვა მსოფლიო პირველობისთვის ბრძოლაში.

შეხვედრას ესწრებოდა საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ა. მეტრეველი.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: დიდოსტატი ნ. ალექსანდრია საქართველოს სპორტკომიტეტში.

ა. კოტორაშვილის ფოტო.






## საქართველოს სსრ ზაფხულის VIII სპარტაკიადის გუნდური შედეგები 5 მაისისთვის

(აკრობატიკის, კალათბურთის, კროსის, მრავალდღიანი ველორბოლის, ფრენბურთის, აკადემიური ნიჩბოსნობის, ბაიდარებითა და კანოებით ნიჩბოსნობის, ძიუდოს, ჩოგბურთის, მაგიდის ჩოგბურთის, ფარიკაობისა და ფეხბურთის შემდეგ).

### ასსრ, აო, ქალაქები და რაიონები

**I ჯგუფი**

1. თბილისი — 4859,93
2. ქუთაისი — 3470,10
3. აჭარა — 2406,75
4. აფხაზეთი — 2356,50
5. სამხრეთ ოსეთი — 1000,83

**II ჯგუფი**

1. რუსთავი — 2376,13
2. ფოთი — 1409,75
3. გორი — 919
4. ტყიბული —625,75
5. ჭიათურა — 592,5
6. წყალტუბო — 574,75
7. ზუგდიდი — 423

**III ჯგუფი**

1. მცხეთა — 582
2. თელავი — 189,5
3. გორის რაიონი — 178,5
4. დუშეთი — 174,5
5. ახმეტა — 156
6. ყვარელი — 152
7. კასპი — 108
8. გურჯაანი — 72
9. საგარეჯო — 68
10. ქარელი — 56,5
11. ლაგოდეხი — 56
12. წითელი წყარო — 35,5
13. თიანეთი — 28,5
14. ხაშური — 24

**IV ჯგუფი**

1. სამტრედია — 479,5
2. ლანჩხუთი — 200
3. ზესტაფონი — 130,5
4. წულუკიძე — 128
5. ცაგერი — 104
6. მესტია — 88
7. მახარაძე — 56
8. ვანი — 40

### სპორტსაზოგადოებები და უწყებები

1. „განთიადი“ — 5247,36
2. „სპარტაკი“ — 3532,77
3. „კოლმეურნე“ — 3467,10
4. „ბურევესტნიკი“ — 2754,60
5. „დინამო“ — 1960,80
6. „შრ. რეზერვები“ — 1945,63
7. „ვოდნიკი“ — 1617,65
8. ასკ — 1555,08
9. განათლების სამინისტრო — 1130,37
10. „ლოკომოტივი“ — 808,53
11. „ზენიტი“ — 136

### ქალები და გოგონები

**I ჯგუფი**

1. თბილისი — 1651,2
2. ქუთაისი — 1037
3. აფხაზეთი — 893,58
4. აჭარა —784
5. სამხრეთ ოსეთი — 266

**II ჯგუფი**

1. რუსთავი — 730,49
2. გორი — 309,71
3. ფოთი — 293
4. ჭიათურა — 182
5. წყალტუბო — 167
6. ზუგდიდი — 157
7. ტყიბული — 108

**III ჯგუფი**

1. მცხეთა — 57
2. ლაგოდეხი — 56
3. ყვარელი — 48
4. კასპი — 32
5. ახმეტა — 24

**IV ჯგუფი**

1. სამტრედია — 200
2. ცაგერი — 40
3. წულუკიძე — 16




## ახლოვდება სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადის ფინალური სტარტები

# ემზადებიან ნიჩბოსნები

**მძლეოსნობის,** ცურვისა და ტანვარჯიშის მსგავსად, ნიჩბოსნობა სპორტის ის სახეობაა, რომლის წილადაც საბჭოთა კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადაზე გასათამაშებელი მედლების მრავალი კომპლექტი მოდის. მარტო აკადემიურ ნიჩბოსნობაში 14 ფინალური გაცურვა იმართება. ბუნებრივია, გვაინტერესებს ჩვენი რესპუბლიკის რამდენ ეკიპაჟს შესწევს ძალა თამამად ჩაებას საბჭოთა კავშირის უძლიერეს აკადემიურ ნიჩბოსანთა სასპარტაკიადო პაექრობაში, რომელიც 11 ივლისს მოსკოვში, კრილატსკოეს ოლიმპიურ სანიჩბოსნო არხში დაიწყება. ამის შესახებ და საერთოდ ჩვენი გუნდის სასპარტაკიადო მზადებაზე გვესაუბრება საქართველოს აკადემიურ ნიჩბოსანთა უფროსი მწვრთნელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი **გივი ნიკურაძე:**

— წინანდელ, VII სპარტაკიადაზე ჩვენს ნაკრებს X ადგილი ხვდა წილად. წლეულს გადაწყვეტილი გვაქვს ორი საფეხურით დავწინაურდეთ, რისთვისაც თავდაუზოგავი შრომა გვმართებს: რას ვიზამთ, ჯერ კიდევ ბევრი რამ აბრკოლებს საქართველოში აკადემიური ნიჩბოსნობის განვითარებას. მთელს რესპუბლიკაში ერთი-ორი ბაზა თუ მოგვეძევება, რომელიც ასე თუ ისე პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს. აი, ფოთის „ვოდნიკის“ და „შრომითი რეზერვების“ ბაზებზე სათანადო რეკონსტრუქცია რომ ჩაგვეტარებინა, შესანიშნავ სანიჩბოსნო ცენტრებს მივიღებდით. ბაზების სიმცირეს ვუჩივით, მაგრამ არსებულნიც როდი არიან საკმარისად დატვირთულნი. ამის მიზეზი ადგილობრივ მწვრთნელთა არადამაკმაყოფილებელი სასელექციო მუშაობაა. სპორტის ამ სახეობას ტანადი, ჯანღონიანი სპორტსმენები სჭირდება. ჩვენი რესპუბლიკის აკადემიურ ნიჩბოსანთა გუნდი სხვებთან შედარებით ყველაზე ტანმორჩილია. უკანასკნელი წლების სტატისტიკა კი გვიჩვენებს, რომ მსოფლიოს და ოლიმპიურ ჩემპიონ ვაჟთა საშუალო სიმაღლე 2 მეტრს აღწევს. ჩვენთან ასეთი ბრგე ახალგაზრდები სპორტის სხვა სახეობებს არჩევენ. მართლაც დიდი ენთუზიასტი უნდა იყო, რომ მთელი წლის განმავლობაში ღია ცის ქვეშ, ცივ წყალზე ივარჯიშო. ბაზების სიმცირის გამო იძულებულნი ვართ ყველა პერსპექტიულ სპორტსმენს (60-მდე ნიჩბოსანი) თბილისის ცენტრალურ წყალჯომარდობის ოლიმპიური რეზერვის აკადემიურ ნიჩბოსნობის ბაზაზე დავუნიშნოთ საწვრთნელი შეკრება. აქ მართლაც შესანიშნავი პირობებია სპორტსმენთა დაოსტატებისათვის...

— გარდა ერთისა, — ჩაერია საუბარში ზემოხსენებული ბაზის დირექტორი, საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი არჩილ მხეიძე. — ჩვენს ბაზას, საცხოვრებელი ფართობის სიმცირის გამო, მხოლოდ 30 სპორტსმენის მიღება შეუძლია. დანარჩენები ტურბაზა „ვაკიდან“ დადიან ვარჯიშზე. კარგი იქნება, თუ ამ შენობაში შესახლებულ თბილისის სამაშველო სადგურს სხვაგან მიუჩენენ ბინას, გათავისუფლებული 4-5 ოთახი მთლიანად დაიტევდა რესპუბლიკის აკადემიურ ნიჩბოსანთა ნაკრების წევრებს.

— საკავშირო სპარტაკიადისათვის მზადება ჯერ კიდევ გასულ წელს დავიწყეთ, — განაგრძო გ. ნიკურაძემ, — იანვრამდე დღეში ორჯერ ვვარჯიშობდით, ახლა კი კვირაში 18 საწვრთნელ მეცადინეობას ვატარებთ. გუნდის მწვრთნელები და სპორტსმენები თავს არ ზოგავენ. მალე დაბა სიონში არსებულ სპორტკომიტეტის სანიჩბოსნო ბაზაზე გადავინაცვლებთ და საკავშირო სპარტაკიადისთვის იქ მოვემზადებით. რაც შეეხება გუნდის შემადგენლობას, თუმცა მას საბოლოო სახე ჯერჯერობით არ მიუღია, მაინც გეტყვით ძირითადად ვისზე ვამყარებთ იმედებს:

— ჩვენმა ოთხადგილიანი მესაჭიანი ნავის ეკიპაჟმა III საკავშირო ახალგაზრდულ თამაშებზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. საკავშირო სპარტაკიადაზე III-V ადგილს ვუგეგმავთ. ვფიქრობთ ეს ოთხეული ბათუმელი ა. რიაზანოვის და თბილისელების ა. აკაევის, ფ. ბირკაიას და გ. ერმოლენკოს შემადგენლობით, მესაჭე გია ელჭანიშვილთან ერთად (მწვრთნელები ო. ქაფიანიძე და ე. ნათელაშვილი) თავს არ შეირცხვენს, ფინალურ გაცურვაში მონაწილეობა უნდა მიიღოს ნ. მიქაუტაძის, გ. სირბილაძის და მესაჭე თ. ბიგანიშვილის ორადგილიანი ნავის ეკიპაჟმა. ქუთაისელთა ამ სამეულსაც ქაფიანიძე და ნათელაშვილი ავარჯიშებენ. ასეთივე მიზანი აქვს დასახული ორადგილიან, წყვილმოსასმელიანი ნავით მოასპარეზე თბილისელ ა. ესიკოვს და ფოთელ ი. მეტლიცკის (მწვრთნელი ვ. გეგეჭკორი).

აკადემიურ ნიჩბოსან ქალთა პაექრობაში წარმატებას ველით ჩვენი ოთხადგილიანი მესაჭიანი ნავის ეკიპაჟისაგან. აქ რუსთაველი სპორტსმენების ი. ეფიმოვას და დ. ბიაშვილის მხარდამხარ იბრძოლებენ თბილისელები დ. გელაშვილი, დ. ბულოიანი და მესაჭე ი. ლაფერაშვილი. ამ ხუთეულს გადამწყვეტი სტარტებისათვის მწვრთნელი გენადი პატარაია ამზადებს. გარდა ამისა, გადაწყვეტილი გვაქვს კიდევ რამდენიმე ეკიპაჟი დავაკომპლექტოთ. 4-5 ივნისს კრილატსკოეს სანიჩბოსნო არხზე ჩატარდება მოსკოვის დიდი რეგატა, რომელშიც ჩვენი რესპუბლიკის ნიჩბოსნებიც მიიღებენ მონაწილეობას, ხოლო გუნდის დანარჩენი წევრები ივნისის შუა რიცხვებში გაემგზავრებიან თრაკაიში, სადაც „ქარვის ნიჩბების“ ასპარეზობაში შეამოწმებენ თავიანთ მზადყოფნას. სწორედ ამ შეჯიბრებების შემდეგ მიიღებს საქართველოს აკადემიურ ნიჩბოსანთა ნაკრები გუნდი საბოლოო სახეს VIII საკავშირო სპარტაკიადაზე გამოსასვლელად.





* * *

ჩვენი რესპუბლიკის ნიჩბოსანთა სხვა ჯგუფი — ბაიდარებით და კანოებით მოასპარეზენი ამჟამად უფროს მწვრთნელთან თეზეი ნეგეფტიდისთან ერთად უკრაინაში იმყოფებიან საწვრთნელ შეკრებაზე. მათ სასპარტაკიადო მზადებაზე და გუნდის ამოცანებზე აზრის გამოთქმა ვთხოვეთ საქართველოს სპორტკომიტეტის აფროსნობის და ნიჩბოსნობის განყოფილების უფროსს **ბ. ფოცხიშვილს:**

— ბაიდარებისა და კანოეს ოსტატთა ტურნირი, რომელიც საბჭოთა კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადის პროგრამითაა გათვალისწინებული, 8 ივლისს კრილატსკოეს სანიჩბოსნო არხზე დაიწყება. მართალია, შეჯიბრების დებულების თანახმად სარბიელზე 11 ეკიპაჟის გამოყვანა შეგვიძლია, მაგრამ ამჟამად ჩვენი რესპუბლიკის ნიჩბოსან ქალთა შორის არ გვეგულება ისეთი სპორტსმენი, რომელსაც საკავშირო სპარტაკიადაზე რაიმე წარმატების იმედი შეიძლება ჰქონდეს, სამაგიეროდ ვაჟთა გუნდი სრული შემადგენლობით—9 ნავით ჩაებმება ბრძოლაში. მათგან ყველაზე კარგ შედეგებს ფოთელ ნიჩბოსნებისგან ველით. სპორტსმენთა ამ საკმაოდ ძლიერ ჯგუფში, რომელსაც პ. დორენკო და ვ. ბურახოვსკი ავარჯიშებენ, 6 საერთაშორისო კლასის ოსტატი ირიცხება. მათგან ნ. ალექსანდროვი და ა. ვოლკოვი ორადგილიანი ბაიდარით იასპარეზებენ, ხოლო ის, თუ რომელი ნავებით გამოვლენ ვ. ერიომენკო, მ. სიზოვი, ვ. სტროკავინი და ვ. მასიუტა, მოგვიანებით გაირკვევა. მათ მხარი უნდა აუბან ზ. ციცქიშვილმა (ბაიდარა), ა. დათიაშვილმა და ი. იურჩენკომ (კანოე). ამ ქუთაისელ სპორტსმენებს ს. ციცქიშვილი წვრთნის. დანარჩენ ეკიპაჟებს მოგვიანებით დავაკომპლექტებთ.

ჩვენმა ნაკრებმა სპარტაკიადისათვის მზადება დიდი ხანია დაიწყო. ზამთარში, ბაკურიანში საწვრთნელ შეკრებაზე ყოფნისას, ძირითადი ყურადღება საერთო ფიზიკურ მომზადებას დავუთმეთ. შემდეგ ფოთის სანიჩბოსნო ბაზზე გადავინაცვლეთ და წვრთნა იქ გავაგრძელეთ. უნდა ითქვას, რომ იგი მაღალი ინტენსივობით გამოირჩეოდა. აქვე ჩატარდა საქართველოს სპარტაკიადა ნიჩბოსნობაში, რომლის შედეგების მიხედვით შევარჩიეთ ნაკრების ძირითადი ბირთვი. ამჟამად ჩვენი სპორტსმენები ხერსონში იმყოფებიან. 8-13 მაისს ისინი მონაწილეობას მიიღებენ უკრაინის სპარტაკიადაში, შემდეგ კი ამ რესპუბლიკის ძლიერ გუნდთან ერთად საკავშირო სპარტაკიადისათვის მზადებას გააგრძელებენ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გუნდის შემადგენლობა ცნობილია, მაგრამ თუ ვინ რომელი ნავით იასპარეზებს, ეს გაირკვევა გადამწყვეტ სტარტებამდე ორი კვირით ადრე, როდესაც საკონტროლო შეჯიბრებებს მოვაწყობთ.

შეგახსენებთ, რომ ჩვენი ბაიდარებით და კანოებით მოასპარეზე ნიჩბოსნები წინა, VII სპარტაკიადაზე XIII ადგილზე აღმოჩნდნენ. მართალია, ძნელია ერთბაშად დიდი ნახტომის გაკეთება, მაგრამ ყველაფერს ვიღონებთ იმისათვის, რომ ათ საუკეთესო გუნდს შორის დავმკვიდრდეთ.

**მწვრთნელებს ესაუბრა**
**ზ. ჩოხიშვილი.**

# ასპარეზობენ მოსწავლეები

## ● ძალოსნობა

### აფხაზეთის დედაქალაქში

**ამას წინათ** სოხუმში გაიმართა მოსწავლეთა XXXII რესპუბლიკური სპარტაკიადის ზონალური პირველობა ძალოსნობაში. დებულების თანახმად სამი უძლიერესი გუნდი — თბილისის, სამხრეთ ოსეთისა და საჩხერის — დაიშვა ფინალურ შეჯიბრებებში, დანარჩენ გუნდებს კი ფინალის სამი საგზური უნდა გაეთამაშებინათ. შეჯიბრებაზე გამოვიდნენ აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების, ქალაქების რუსთავის, თელავის, მახარაძის, წალკის, ახალციხის, ამბროლაურის, გარდაბნის, ჭიათურის, წყალტუბოს, ზუგდიდის, სიღნაღის გუნდები. შეჯიბრებაზე უკონკურსოდ გამოდიოდა თბილისის სპორტკომიტეტის ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის გუნდი. გუნდურ ჩათვლაში I ადგილი მოიპოვა წალკის გუნდმა (1472 ქულა), მეორეზე გავიდნენ რუსთავის (1398), ხოლო მესამეზე აფხაზეთის (1276) წარმომადგენლები. განსაკუთრებით აღსანიშნავია წალკის გუნდის წარმატება. იქ ორი წელია, რაც ჭაბუკები ძალოსნობას მისდევენ. ბოლო ადგილზე გასვლისთვის გული არ დაწყვეტიათ სიღნაღისა და ამბროლაურის გუნდებს. ორივე გუნდი მოსწავლეთა შეჯიბრებაში პირველად მონაწილეობდა, რაც თავისთავად მისასალმებელია. უნდა აღინიშნოს, აგრეთვე, რომ მოზარდთა ძალოსნობაში პოზიციები დათმეს რუსთავის, თელავის, ჭიათურის, ზუგდიდის წარმომადგენლებმა, ხოლო ქუთაისმა საერთოდ არ გამოიყვანა გუნდი.

გაგაცნობთ წონითი კატეგორიების მიხედვით გამარჯვებულებს: ტ. ქუთელია (40 კგ, აფხაზეთი), ბ. მითიაშვილი (44, ამბროლაური), ე. მინაძე (48, გარდაბანი), ლ. კურტოვი (52, აჭარა), ა. იორდანოვი (56, წალკა), ვ. არმენოკიანი (60, აფხაზეთი), ა. ლობჟანიძე (67,5, რუსთავი), ა. გახოკიძე (75, ზუგდიდი), მ. მაჭარაშვილი (82,5, ჭიათურა), რ. გაჯოევი (90, ახალციხე), ვ. სკამკოჩაშვილი (90 კგ-ს ზევით, მახარაძე). 15-16 წლის სპორტსმენთათვის რესპუბლიკის რეკორდი დაამყარა რ. გაჯოევმა, რომელმაც აჰკრა 150 კგ. ორჭიდის ჯამში მისი შედეგია 260 კგ.

**ი. ნებიერიძე,**
**სპორტის ოსტატი.**

## ● ტანვარჯიში

### ნორჩების კარგი მომზადება

**დედაქალაქის** სპორტულ ბაზებზე მიმდინარეობს თბილისის მოსწავლეთა 39-ე სპარტაკიადა. ამ დღეებში თბილისის განათლების სამმართველოს გ. ეგნატაშვილის სახელობის ოლიმპიური რეზერვის ტანვარჯიშის სპორტულ სკოლაში გაიმართა შეჯიბრება სპორტულ ტანვარჯიშში. ამ ღონისძიებაში, რომელიც ორგანიზებულად ჩატარდა, თბილისის 8 რაიონის (გუნდი არ გამოუყვანია კიროვის რაიონს) 200-მდე ნორჩი ტანმოვარჯიშე (1975-76 წლებში დაბადებულნი) მონაწილეობდა.

გუნდურ ჩათვლაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: გლდანის რაიონი — 1723,5 ქულა, 26 კომისრის რაიონი — 1502,05. ორჯონიკიძის რაიონი — 1496,55.

პირადი ჩათვლა (II თანრიგის პროგრამით). გოგონები: ლ. ნაცვლიშვილი (გლდანის რაიონი) — 87,5 ქულა, ა. იაკუშენკო (საქარხნო რაიონი) — 86,5, ე. სახვაძე (გლდანის რაიონი) — 84,0.

ბიჭები: ა. ხორხელი (ოქტომბრის რაიონი) — 96,3, ლ. ბერაძე (კალინინის რაიონი) — 96,2, მ. აბჟანდაძე (გლდანის რაიონი) — 95,1.

— ნორჩმა ტანმოვარჯიშეებმა კარგი მომზადება გამოავლინეს,— გვითხრა შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა, სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა **გ. ბაბილოძემ,** — განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ გლდანის რაიონის წარმომადგენლები, რომლებმაც, როგორც წინა სპარტაკიადაზე, ამჯერადაც I ადგილი დაიკავეს. ამ რაიონში ნაყოფიერად მუშაობენ მწვრთნელები გულნაზი ლორია და შოთა აზარაშვილი. მათი „ხელი“ იგრძნობოდა არა მარტო ნორჩების ოსტატობაში, არამედ ქცევაში, ჩაცმულობაში.

**ნ. მუკბანიანი.**

## ● ველოსპორტი

### 10 ქალაქის წარმომადგენელთა შორის

**დამთავრდა** საქართველოს პირველობა მოსწავლეთა მრავალდღიან საგზატკეცილო ველორბოლაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის 10 ქალაქის წარმომადგენლები.

პირველი ეტაპი (გუნდური რბოლა 50 კმ) მოიგო ქუთაისის გუნდმა. მეორე იყო თბილისის ნაკრები, III — რუსთავის კოლექტივი.

მეორე ეტაპზე — თბილისი — ჟინვალი — თბილისი (ინდივიდუალური, 75 კმ) გაიმარჯვა ს. პატელიცინმა (აფხაზეთი), მეორე იყო ნ. მეგენეიშვილი (ქუთაისი), მესამე — ი. სოლოღაშვილი (მცხეთა).

მესამე ეტაპი — თბილისი — ანანური — თბილისი (80 კმ) მოიგო რუსთაველმა რ. ლოხოვმა, ქუთაისელი ნ. თევდორაძე ფინიშთან მეორე მივიდა, თბილისელი თ. ანცარიძე — მესამე.

მეოთხე ეტაპი — თბილისი — წითელი ხიდი— თბილისი (75 კმ) კ. სიყმაშვილის გამარჯვებით დასრულდა. თბილისელმა სპორტსმენმა მეხუთე ეტაპიც (თბილისი— ბოლნისი — თბილისი, 80 კმ) მოიგო და საერთო პირველი ადგილი მოიპოვა — 7 სთ. 57 წუთი, 10 წამი. 7.59,02 აჩვენა ქუთაისელმა ნ. თევდორაძემ. მესამე ადგილზეც თბილისელი გ. დემურაძეა — 7.59,04. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს თბილისელმა მოსწავლეებმა — 25.07,37, მეორე ადგილი დაისაკუთრეს რუსთავის, ხოლო მესამე ქუთაისის წარმომადგენლებმა.

**ზ. ჩქარეული,**
**შეჯიბრების მთავარი მსაჯი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.**

### პირველი გამარჯვებულნი

**თბილისის** სპორტულ ბაზებზე მიმდინარეობს დედაქალაქის მოსწავლეთა 39-ე სპარტაკიადა. დამთავრდა შეჯიბრებები რაიონის ნაკრებ გუნდებს შორის ჭადრაკში, პიონერულ ოთხჭიდში, უფროსი ასაკის ფრენბურთელ გოგონათა და ჭაბუკთა, აგრეთვე რაიონში გამარჯვებული სკოლების უმცროსი ასაკის ხელბურთელთა ასპარეზობა. გამარჯვებულნი გამოვლინდნენ საშუალო ასაკის კალათბურთელ და ხელბურთელ გოგონათა და ჭაბუკთა, მშთ მრავალჭიდელთა, ტყვიის მსროლელთა და მოკრივეთა შეჯიბრებებში.

საპრიზო ადგილები შემდეგი თანმიმდევრობით განაწილდა:

ჭადრაკი: I — 1 მაისის რაიონი, II — ლენინის, III — ორჯონიკიძის რაიონი.

პიონერული ოთხჭიდი: I — 26 კომისრის სახელობის, II — ორჯონიკიძის, III—გლდანის რაიონი.

ფრენბურთი (უფროსი ასაკი), ჭაბუკები: I — ლენინის, II — გლდანის, III — ოქტომბრის რაიონი; გოგონები: I — კალინინის, II — საქარხნო, III — კიროვის რაიონი.

ხელბურთი (რაიონში გამარჯვებულ სკოლებს შორის), ჭაბუკები: I — საქარხნო (133-ე საშუალო სკოლა), II — ორჯონიკიძის (მე-60), III — გლდანის (160-ე); გოგონები: I — საქარხნო (152-ე), II — ოქტომბრის (31-ე), III — 1 მაისის (130-ე).

საშუალო ასაკის კალათბურთელ გოგონათა შორის საპრიზო ადგილები შესაბამისად ასე განაწილდა: I — ლენინის, II — 1 მაისის, III — 26 კომისრის სახელობის რაიონი, ხოლო ჭაბუკებში დაწინაურდნენ ორჯონიკიძის, კალინინისა და ლენინის სახელობის რაიონები.

საშუალო ასაკის ხელბურთელი გოგონები: I — ლენინის, II — 1 მაისის, III—ოქტომბრის რაიონი; ჭაბუკები: I — ოქტომბრის, II — ორჯონიკიძის, III — საქარხნო რაიონი.

მშთ მრავალჭიდი: I — 26 კომისრის სახელობის, II — ორჯონიკიძის, III — 1 მაისის რაიონი.

ტყვიის სროლა: I — ლენინის, II — ორჯონიკიძის, III — კალინინის რაიონი.

კრივი: I—გლდანის, II—საქარხნო, III — 26 კომისრის სახელობის რაიონი.

**ი. ხაზეიშვილი,**
**რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.**

# წერილი ფეხბურთის ქომაგს



ვინ იცის, იქნებ ვიცნობთ კიდეც ერთმანეთს, შეიძლება ერთი მეორის გვერდითაც ვმსხდარვართ ტრიბუნაზე, თითოოროლა სიტყვითაც დავლაპარაკებივართ — ქართველი კაცისთვის ეს ხომ იოლზე იოლი რამეა. შეიძლება კამათიც მოგვსვლია, მაგარ-მაგარი სიტყვებიც გვითქვამს, მაგრამ გვითქვამს როგორლაც გულსგარეთ. იმასაც ვფიქრობ, რომ მაინცდამაინც არ განვსხვავდებით და დროდადრო უსიტყვოდაც ვუგებთ ერთმანეთს.

ჩემი არ იყოს, თამაშის შემდეგ შენც ხშირად მდგარხარ განბილებული და იმის შეგნებას, რომ იმ წაგებულ მატჩს ალარაფერი ეშველება, გული გაუსივებია. შენც მიგიხედავს აქეთიქით, შენნაირივე განბილებული სახეები დაგინახავს და ცოტა გულზე მოგშვებია — შენი დარდით თურმე სხვაც დარდობს, ასეთი ტკივილი კი არც ისე ძნელი ასატანია. მერე, იმ დალოცვილ იმედსაც გაუღვიძნია — სულ რაღაც ერთი კვირის შემდეგ ალბათ უფრო იღბლიანი მატჩის მოლოდინში ისევ შენიანებით გარშემორტყმული იჯდები ტრიბუნაზე (ამბობენ ფიქრი და დარდი ვნებს ჯანმრთელობასო. იქნებ ეგრეც იყოს, მაგრამ უფიქრელად და უდარდელადაც რომ ბევრი ვერაფერი ფასი აქვს ცხოვრებას? ).

დანამდვილებით არც ვიცი, რატომ გეუბნები ყველაფერ ამას. შეიძლება ბევრი მაქვს სათქმელი და მსმენელს ვეძებ. შეიძლება სათქმელიც არა მაქვს და დამლაპარაკებელი მომენატრა. ოჯახში და სამსახურში ჩემი ჭკუისა ვერავინ ვნახე, ისევ შენ თუ გეტყვი ამქვეყნისას, იმქვეყნისას, ისევ შენთან თუ მოვიოხებ გულს. არც შენი სპეციალობა მაინტერესებს, არც შენი ასაკი. იქნებ არც შევხვედრივართ ერთმანეთს და არც შევხვდეთ, მაგრამ რა? საკმარისია მოვინდომო და მაშინვე ვხედავ შენს პორტრეტს — გინდა სარკეში მიცქერია საკუთარი ორეულისთვის.

ალბათ ურიგოდ არ თამაშობდი ფეხბურთს. გული იქნებ ახლაც გერჩის, მაგრამ ცოტა დროც გიშლის ხელს, ცოტა — წლებიც... თამაშით შეიძლება ველარ თამაშობ, მაგრამ სამაგიეროდ არავისზე ნაკლებად არ იცი ფეხბურთის ავან-ჩავანი. მატჩის დროს მეტწილად ჩუმად ხარ — ბევრი ლაპარაკი, ყვირილი და ხელების ქნევა არ გიყვარს. მართალია, დროდადრო, როცა ან მსაჯი გაგალიზიანებს, ან ფეხბურთელი, ბოლოსდაბოლოს კაცი ხარ და შეიძლება ერთი გემოზე შეიკურთხო, მაგრამ საქვეყნოდ ლანძღვა-გინებას არ მოჰყვები და ვერც მოჰყვები. თუ კარგად მიდის ჩვენების საქმე, კვირების მანძილზე მიგყვება ხაფიქრალი და ჰალაპარაკო, ნაიფორხილებენ ბიჭები და ერთხანს შენც აგიცრუვდება გული, ინერტული ხდები — აღარც ფეხბურთი გინდა, აღარც სტადიონისკენ გახედვა. სერიოზულადაც კი ეტყვი საკუთარ თავს — მართლა ფეხბურთს ხომ ვერ გადაჰყვება კაცი?! ერთი კი არის — მალევე მოგიბრუნდება ხოლმე გული. ჯერ ვითომ სხვათაშორის უყურებ მატჩს — ბურთი ან იმ კარში შეგორდება, ან — ამაში, ღირს კი ნერვიულობა? სულ რაღაც ათიოდე წუთის შემდეგ კი ისევ ის, საოცრად ნაცნობი ღელვა ნება-ნება ილვიძებს შენში და როგორც წყალი ქვიშის საგუბრიდან, ისე ინრიტება შენი უდღეური კონსერვატიზმი.

ფეხბურთი ძალიან რთულიაო — ასეთია თანამედროვე მწვრთნელთა აზრი. „ფეხბურთი ძალიან მარტივია“ — უთქვამს ფეოლას.

ქომაგობა?

ვიცი, გადაჭრით ვერც შენ იტყვი რამეს. ეს უფრო ფსიქოლოგებისა და სოციოლოგების საქმეა და ისევ იმათ იმტვრიონ თავი. ერთს კი ალბათ კარგა ხანია მიხვდი — ერთხელ თუ შეყავი თავი ამ ყულფში, მორჩა!

თუმცა, კარგი მისანივით მგონი პორტრეტს შეგპირდი, სათქმელს კი ცოტა არ იყოს, ავცდი.

ქებაც დაგცდება ხოლმე, მაგრამ არც კრიტიკაზე ხარ სიტყვაძუნწი. თუ ცოტა გუნებაზე ვერა ხარ, გაალმასებული დაერევი ფეხბურთელებს, მწვრთნელებს, ხანდახან ისე გაერთობი, უცხომ მოგისმინოს, იტყვის, ამ კაცზე დიდი მტერი გუნდს არ ჰყოლიაო. რა სისულელეა. სიყვარული გალაპარაკებს, თორემ აბა ერთი მართლა უცხომ სცადოს რაიმე აუგის თქმა — ყელში ეცემი, სიტყვისთვის და საბუთისთვის ქვესკნელში ჩაძვრები, რათა „როგორმე შეაგნებინო ამ უბირს ჩვენი ბიჭების ფასი“.

ბევრი ალბათ ბრეტენზიულობას გაბრალებს. სწორედ ჩუმად რომ ხარ და ისე უყურებ თამაშს, იმაში გეტყობა პრეტენზიულობა. ხარ და იყავი — უპრეტენზიო კაცის გაკეთებული საქმე არც გამიგონია და არც მინახავს.

ისიც ვიცი, რომ იმათ რიცხვს არ ეკუთვნი, ვისთვისაც ფეხბურთი სტადიონზე იწყება და იქვე მთავრდება, ვისთვისაც ფეხბურთი გათამაშების ცხრილი ან კონკრეტული მატჩის მოგებაწაგებაა. ეს მშვენიერი თამაში დროდადრო ბრძოლას კი ემსგავსება, მაგრამ შენთვის უფრო სანახაობაა, ვიდრე ომი. სამწუხაროა, რომ ამ სანახაობის მოწყობის მთელი ტვირთი მეტწილად სპეციალისტებსა და სპორტსმენებზე გადადის, ერთთავად სპეციალისტები და სპორტსმენები არიან ყურადღების ცენტრში. სამწუხაროა, რომ ყველა, ცოტად თუ ბევრად მნიშენელოვანი საფეხბურთო მოვლენისას პირველიცა და უკანასკნელი სიტყვაც სპეციალისტებსა და სპორტსმენებს რჩებათ. მსჯელობენ, დაობენ, ამას აქებენ, იმას იწუნებენ და, იდეებითა და აზრებით ამ ფარიკაობაში ყველას როგორლაც ავიწყდები, როგორლაც განზე რჩები. არადა, უშენოდ არც სტადიონსა აქვს ფასი, არც სპეციალისტსა თუ სპორტულ ჟურნალისტს. შენს გარეშე, არც მეტი არც ნაკლები, საერთოდ ფეხბურთიც არ იქნებოდა საჭირო.

თუმცა, ღირს კი ამაზე ლაპარაკი? უჩემოდაც მშვენივრად იცი ყველაფერი. შეიძლება ლამაზი სიტყვისთვის კი ვთქვი, გინდა სარკეში მიცქერია საკუთარი ორეულისთვის-მეთქი, მაგრამ აქაო და ენას ძვალი არა აქვს, ტყუილსა და მართალს ყოველთვის ერთმანეთში ხომ ვერ აურევ კაცი.

ჩემი არ იყოს, ალბათ ვერც შენ იტან მენტორულ ტონს, ალბათ შენც ღიზიანდები ფეხბურთის ქომაგს ცელქი ბავშვივით რომ დატუქსავენ ხოლმე პრესაში. საამისო არაფერი დაგიმსახურებია და აბა, რა იქნება?! დროდადრო ვიღაც-ვიღაცები მართლა ცუდად იქცევიან სტადიონზე, მაგრამ ცუდი და კარგი ხომ ყველგან არის. განა იგივე ცუდისმქმნელები სხვაგან კი, ქუჩა იქნება თუ ოჯახი, ვითომ სიკეთის თაიგულები არიან?

დამლაპარაკებელი მომენატრა-მეთქი, წეღან რომ ვთქვი, რა თქმა უნდა, ფეხბურთზე საუბარი ვიგულისხმე. რა ხანია გელაპარაკები, ფეხბურთზე კი სიტყვა არ დამიძრავს.

თუმცა, შეიძლება კი იმის ზუსტად თქმა, რას დაერქმევა ფეხბურთზე საუბარი — გუშინდელ თამაშზე ლაპარაკს, გუშინწინდელზე, შარშანდელ თუ წლევანდელ სეზონზე? ათი, ოცი წლის წინანდელ მატჩებზე? ანდა ვინ თქვა, რომ ფეხბურთი თუნდაც დღევანდელი „დინამოთი“ ან იტალიის ნაკრებით იწყება და იმითვე მთავრდება? დავით ყიფიანს, შოთა ხინჩაგაშვილს უკვე ველარ ვიხილავთ მინდორზე. ამ მართლაც დიდ სპორტსმენებზე ორიოდ სიტყვის თქმა განა ფეხბურთზე საუბარი არ იქნებოდა? ვითომ გულშემატკივრის მეხსიერებას შემორჩენილ ლოლობერიძისა და იამანიძის თამაშს გუშინ და გუშინწინ მოგებულ კონკრეტულ მატჩზე ნაკლები ფასი აქვს? თუ სიხარული არა, სხვა რა დაერქმევა იმ წუთებს, როცა მათ თამაშს იგონებ? შენთვის, ჩემო გულმართალო და მადლიერო კოლეგავ, ეს მოგონებები იქნებ უფრო მეტს ნიშნავდეს. იქნებ კი არა, ალბათ ასეა და კაციშვილიც ვერ გაგამტყუნებს.

შენ ამ მოგონებებით საზრდოობ, მაგრამ ეს ურთიერთობა ცალმხრივი არ არის. შენით ცოცხლობს სპორტიცა და ყველა დიდი სპორტსმენიც. როგორ გაუფასურდებოდა უშენოდ ის დაძლეული სიმაღლეები, წამები, კილოგრამები, ის გატანილი გოლები! ჰო, ეს ყველაფერი ფირზეა ალბეჭდილი, მაგრამ იმ ფირებსაც ხომ მაყურებელი, მნახველი სჭირდება?

ნამდვილმა სპორტსმენმა მშვენივრად იცის ეს ყველაფერი და იმიტომაც გაფასებს, სხვას კი რას დაეძებ. ნამდვილი სპორტსმენი ყოველთვის გრძნობს, რომ ვალშია შენთან, შენი სიყვარულისა მართებს.

ეხლა, ეს ამოდენა კარგი რომ გითხარი (ბუნებრივია, საკუთარ თავსაც ვუთხარი), ცოტა ცუდიცა ვთქვათ. ესეც იმიტომ, შინაურად, ჩემიანად რომ მიმაჩნიხარ, თორემ სხვისი იყო, ან სხვა ვიყო, რას დავეძებდი.

წეღან პრეტენზიულობაზე ვთქვი. ხანდახან მართლა მეტისმეტი მოგვდის ხოლმე. აი თუნდაც გუნდის შემადგენლობის თაობაზე: მავან და მავან ფეხბურთელს რატომ ათამაშებს, მავანი და მავანი რატომ არ გამოჰყავს მინდორზეო. მოდი, გულახდილნი ვიყოთ. ჩვენ უკანასკნელი თამაშის, ანდა ჩვენი სუბიექტური, კაცმა არ იცის, რაზე დამყარებული წარმოდგენის თუ შეხედულების მიხედვით განვსჯით. მწვრთნელი ერთთავად ფეხბურთზე ფიქრობს, ფეხბურთია მისი საქმიანობა. თავისი მოწოდებისა და მოვალეობის გამო დილიდან საღამომდე ფეხბურთელებთან არის, დილიდან საღამომდე აკვირდება თითოეულ მათგანს, ყველა წვრილმანი იცის. ასეთ ვითარებაში ცოტა უსაფუძვლო და უხერხული ხომ არ არის გულშემატკივრული „მოსაზრებების შეთავაზება?“ ისე კი, რა დაგიმალო და, სხვათა გაკეთებული საქმის კრიტიკაში უფრო მარდები ვართ. დაწუნება მართლა იოლიც არის და თან თავშესაქცევიც, საქმის გაკეთებაა ცოტა ძნელი.

ახლა, ამ სიტყვების შემდეგ იქნებ ეჭვი გაგიჩნდეს, ჯერ ენა დაითაფლა, მერე კი იქითა ნაპირზე დადგა და ჭკუას მარიგებსო.

მე, მართალი გითხრა, არავის მხარეს არა ვარ და იმასაც ვფიქრობ, რომ მხოლოდ მწვრთნელის, ფეხბურთელის ან გულშემატკივრის სამზერიდან ცქერა მაინცდამაინც კარგი არ უნდა იყოს. ჩვენ — გულშემატკივრებიც, მწვრთნელებიც, ფეხბურთელებიც — რაც არ უნდა გავწიოთ და გავწელოთ, მაინც ერთნი ვართ, ერთი ჯიშისანი. ყველაფერი, თუ რამ კარგი და ქართულია, საერთოა, ცუდიც საერთო გვაქვს და ჩვენი უშნო ჯიუტობითა თუ წვრილმანი ძიძგილაობით ან თავს რად ვავნოთ, ან მტერი რად გავახაროთ, სხვა რად ვაცინოთ?

არ ვიცი, იქნებ მაინც ფიქრობ, უსაგნო ლაპარაკის სალერლელი აშლია ამ კაცსო. იქნებ მაინც სხვანაირი საუბარი გირჩევნია, ვთქვათ, უფრო კონკრეტული — თბილისის „დინამოზე“, ქუთაისის „ტორპედოზე“...

აბა, ისეთი რა უნდა გითხრა, თვითონაც წვრილად იცი ყველაფერი. ეს ხუთი-ექვსი წელიწადია წელგამართულნი დავდივართ. ისე შევეჩვიეთ გამარჯვებებს, ჩემპიონობისა და თასების გარდა არაფრის გაგონება არ გვინდა. მაგრამ მუდმივი არაფერია ქვეყანაზე. ჩვენკენაც უნდა გადმოევლო ავდარს. ეს ჩვეულებრივი ამბავია. ბევრ სახელგანთქმულ გუნდს დახვევია ეკალბარდი საფეხბურთო სავალზე, ბევრი წაფორხილებულა, ზოგი კი საკმაოდ დიდი ხნითაც ჩაწერილა მეორეხარისხოვანთა სიაში. საფეხბურთო ცხოვრება ალმა-დალმა სიარულია. სულ ალმა ვერც ივლი და არც არავინ გატარებს.

ბევრჯერ გამიგონია, ფეხბურთს კაცები თამაშობენო. ახლა, გაიხსენე, რა კაცები წავიდნენ გუნდიდან ამ ცოტა ხანში — ვახტანგ ქორიძე, მანუჩარ მაჩაიძე, დავით ყიფიანი, შოთა ხინჩაგაშვილი... და ბოლოს ვიტალი დარასელია...

ნიჭიერი ბიჭები მოვიდნენ მათ ადგილას, მაგრამ ეს ცოტას ნიშნავს. 22-22 წლის არანაკლებ ნიჭიერი ფეხბურთელები თამაშობდნენ 1959 წლის „დინამოშიც“, სამი წელიწადი კი დასჭირდათ პირველობისთვის დავაში ჩასაბმელად. თქმა არ უნდა, ამ საქმეს მოევლება, აი ქუთაისის „ტორპედო“ კი მართლა ცუდ დღეშია.

სტარტზე დაკარგულ უამრავ ქულას დაერთო ისიც, რომ გუნდის მიმართ იმთავითვე ერთობ მკაცრი სანქციები გამოიყენეს. ჩემთვის და ალბათ შენთვისაც, მთლად ნათელი არ არის, რომელია პირველადი, რა რისგან გამომდინარეობს — ქუთაისელ ფეხბურთელთა უხეშობამ განაპირობა ეს სიმკაცრე, თუ ამ სიმკაცრის შედეგია ფეხბურთელთა უხეშობა. შეიძლება პირველია სიმართლე, შეიძლება — მეორე, მაგრამ ასე თუ ისე, ამ რთული ვითარებიდან თავის დაღწევა ისევ თვითონ, ქუთაისელმა ფეხბურთელებმა უნდა შეიძლონ. როცა დიდი და საერთო საქმე წყდება, წვრილმანები და პირადული სულ თუ არა, დროებით მაინც უნდა გადაიდოს განზე.

ალბათ, გახსოვს, ერთ დროს დავაც კი იყო იმის თაობაზე, სარგებლობას მოგვიტანს თუ არა ორი გუნდი უმაღლეს ლიგაშიო. მე რომ მკითხონ, სამ გუნდს ვირჩევდი, სარგებლობაზე კი ვერაფერს ვიტყვი, ამ საქმის გამკითხავი არა ვარ. თუმცა, ერთი ნამდვილად ვიცი: ქუთაისელთა მარცხი თითოეული ქართველისთვის ტკივილი იქნება.

დროდადრო ჩემი ნაცნობები ფეხბურთზე გამიბამენ ხოლმე საუბარს. რა თქმა უნდა, იმიტომ არა, რომ რამე გამეგება ამ თამაშისა ან იმათ მივაჩნივარ დიდ სპეციალისტად. უბრალოდ, შემთხვევამ ინება და ფეხბურთზე მიხდება წერა. ეს არის და ეს. ჰოდა, გამიბამენ საუბარს, უფრო სწორად კი, მსაყვედურობენ: მეტისმეტად ოპტიმისტურად წერ, მეტისმეტად გჯერა გუნდისო (თბილისის „დინამოს“ გულისხმობენ). თვითონ ამ მეტისმეტობისას მაინცდამაინც ვერაფერს ვგრძნობ, მაგრამ ტენდენციურიც ვიყო, ვითომ შავდება რამე? ეს ტენდენციურობა ხომ არც ისე უსაფუძვლოა.

გულახდილად გეტყვი. ამე მნამს საერთოდ ქართული ფეხბურთისა, კერძოდ კი ნოდარ ახალკაცის, ადამიანის, რომელმაც ჯერჯერობით ყველაზე მეტი შესძინა ჩვენს ფეხბურთს და იმათიც, ვინც დღეს პაიჭაძეების, ლოლობერიძეების, იამანიძეების, ყიფიანების, სხვათა და სხვათა მიერ დაწყებულ საქმეს განაგრძობენ.

ვინ იცის, იქნებ ვიცნობთ კიდეც ერთმანეთს, შეიძლება ერთი-მეორის გვერდითაც ვმსხდარვართ ტრიბუნაზე, თითო-ოროლა სიტყვაც გვითქვამს ერთმანეთისთვის, მაგრამ ადამიანები არც თუ იშვიათად უფრო გულსგარეთ ვლაპარაკობთ ხოლმე და ამიტომაც გადავწყვიტე მომეწერა.

**ირაკლი ბერიაშვილი.**

## მატჩი ოდესაში

**ოდესა. ცენტრალური სტადიონი. 3 მაისი.**

**„ჩერნომორეცი“ (ოდესა) — „დინამო“ (თბილისი) 4:1 (2:1).**

**„ჩერნომორეცი“: რომენსკი, სოკოლოვსკი, ლეშჩუკი, პხომიადი, სკრიპნიკი, სახნო, სმოტრიჩი (ბელანოვი), ფინკი, ჟარკოვი, შალომაი, ნაკონეჩნი (შარი).**

**„დინამო“: აბუსერიძე (კუცია), ჩედია, ჩივაძე, დურდიაძე, მუჯირი, კაკილაშვილი, სვანაძე (ჯოხაძე), სულაქველიძე, ჩქარეული, ცაავა, შენგელია.**

**მსაჯი ა. კადეტოვი (მოსკოვი).**

**დუბლიორები 2:1. თბილისელთაგან გოლი გაიტანა ჟორჟიკაშვილმა.**

**მატჩი** ოდესელ ფეხბურთელთა იერიშებით დაიწყო და უკვე მე-7 წუთზე ფინკმა გახსნა ანგარიში — 1:0. გავიდა კიდევ ათი წუთი და ახლა სახნომ გამოიჩინა თავი — 2:0.

ასეთი დასაწყისი, ბუნებრივია, კარგს არაფერს უქადდა სტუმრებს და მათაც ტაიმის დასასრულამდე ცდა არ დაუკლიათ წონასწორობის ალსადგენად. აქედან მხოლოდ ერთი — 38-ე წუთზე გათამაშებული კომბინაცია დასრულდა შედეგიანად. კაკილაშვილის დარტყმა მოიგერია რომენსკიმ, შენგელია კი ბურთთან ყველაზე ადრე გაჩნდა — 2:1. ამ გოლის შემდეგ გაჩნდა იმედი, რომ თბილისელები ქულას მაინც გადაარჩენდნენ. მაგრამ დაიწყო თამაშის მეორე ტაიმი და პირველი ათი წუთის მანძილზე ფინკისა (48 წ.) და ბელანოვის (55 წ) ორმა ზუსტმა დარტყმამ ყველა იმედი გადაუწურათ სტუმრებს — 4:1. ამის შემდეგ თამაშს დაეკარგა ინტერესი როგორც სპორტული, ისე სანახაობრივი თვალსაზრისითაც.

• • •

**გუშინ** მოსკოვში გაიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის კალენდარული მატჩი ადგილობრივ „სპარტაკსა“ და ლენინგრადის „ზენიტს“ შორის.

თამაში დამთავრდა სპარტაკელთა გამარჯვებით — 3:0.

## უმაღლესი ლიგა

### გათამაშების ცხრილი

**ძირითადი შემადგენლობანი**

**მდგომარეობა 5 მაისისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ჩერნომ.“ | 7 | 5 | 1 | 1 | 12—5 | 11 |
| „შახტიორი“ | 8 | 5 | 1 | 2 | 11—7 | 11 |
| „ტორპ.“ მ. | 7 | 4 | 3 | 0 | 9—3 | 11 |
| „არარატი“ | 8 | 5 | 0 | 3 | 9—11 | 10 |
| „ზენიტი“ | 8 | 4 | 2 | 2 | 11—8 | 10 |
| „ჟალგირ.“ | 8 | 3 | 4 | 1 | 6—4 | 10 |
| „დნეპრი“ | 8 | 3 | 3 | 2 | 11—8 | 9 |
| „დინამო“ მნ. | 8 | 3 | 3 | 2 | 8—8 | 9 |
| „სპარტაკი“ | 7 | 3 | 2 | 2 | 12—5 | 8 |
| „ფახთაქორი“ | 8 | 2 | 3 | 3 | 7—8 | 7 |
| „დინამო“ მ. | 7 | 2 | 2 | 3 | 5—4 | 6 |
| „მეტალისტი“ | 7 | 2 | 2 | 3 | 8—9 | 6 |
| „დინამო“ თბ. | 8 | 2 | 2 | 4 | 8—10 | 6 |
| „ნეფთჩი“ | 8 | 2 | 2 | 4 | 6—8 | 6 |
| „დინამო“ კ. | 7 | 2 | 2 | 3 | 3—5 | 6 |
| ცსკა | 7 | 1 | 3 | 3 | 3—6 | 5 |
| „ნისტრუ“ | 7 | 1 | 1 | 5 | 5—17 | 3 |
| „ტორპ.“ ქ. | 8 | 0 | 2 | 6 | 4—12 | 2 |

## I ლიგა

**გუშინ** ლანჩხუთში შედგა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მორიგი მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ „გურია“ (ლანჩხუთი) და „ბუსტონი“ (ჯიზაკი).

გაიმარჯვა „გურიამ“ — 2:1.

## მექსიკა, მექსიკა!

**ფეხბურთის** საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი ჟ. აველანჟი ამას წინათ სიტყვით გამოვიდა რიო-დე-ჟანეიროში ჟურნალისტთა წინაშე და დაბეჯითებით განაცხადა, რომ 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში გაიმართება მექსიკაში.

პრეზიდენტმა თქვა, რომ არც ამერიკის შეერთებული შტატების, არც კანადის შესაბამისი ორგანიზაციები ჯერჯერობით მზად არ არიან უმასპინძლონ ასეთ დიდ შეჯიბრებას და ორივე ამ ქვეყნის ვერავითარი არგუმენტები ვერ შეცვლიან ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილებას, რომ მექსიკას ყველაზე უფრო მეტი შანსი აქვს ახლანდელ კანდიდატებს შორის.

5 მაისი ბეჭდვითი სიტყვის დღეა

# „ლელოს“ კორ.



**ბავშვობიდან** გაიტაცა სპორტმა, განსაკუთრებით ფეხბურთმა. „დინამოს“ სტადიონთან სულ ახლოს ცხოვრობდა და ტოლამხანაგებთან ერთად სკოლის შემდეგ მისი ტრიბუნების მუდმივი სტუმარი იყო. ბათუმს იმხანად ძლიერი გუნდი ჰყავდა. აქ თამაშობდნენ გენო მენაბდე, ნიკოლოზ კეშელავა, როინ კვასხვაძე... ოსტატთა გუნდებიც ხშირად ჩამოდიოდნენ მათ ქალაქში — მოსკოვის „სპარტაკი“ და „ტორპედო“, რიგის „დაუგავა“, თბილისის არმიელთა კოლექტივი. პატარა ოთარს ერთი სული ჰქონდა ეხილა სახელგანთქმული ოსტატები. „ტოდო“-ს უფროსმა მწვრთნელმა ნესტორ ჩხატარაშვილმა შეამჩნია მკვირცხლი ბიჭუნა და... თავისი გუნდის „ბურთის შტატიან გამბერად ჩარიცხა“. ბიჭები შურით უყურებდნენ „ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებულს“.

16 წლის ოთარ მურვანიძე მწვრთნელმა ვლასი კობიძემ აჭარის მოსწავლეთა ნაკრებში ჩარიცხა. სულ ორი წელიწადი ითამაშა გუნდის მარჯვენა ნახევარმცველმა ამ კოლექტივში, მერე ერთ-ერთი ვარჯიშის დროს მუხლის მძიმე ტრავმა მიიღო. სწორედ იმ ხანად შეხვდა მას სტადიონზე ცნობილი ბათუმელი მსაჯი იანგული კუსიდი (ამჟამად აჭარის ფეხბურთის ფედერაციის პასუხისმგებელი მდივანი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი).

ოთარმა უამბო თავისი ტრავმის შესახებ.

— ნუ გეშინია — უთხრა უფროსმა მეგობარმა, — შენგან კარგ მსაჯს გამოვიყვან!

მალე ოთარ მურვანიძეს მწვანე მინდორზე უკვე მსაჯის სასტვენით ხელში ვხედავდით — ბათუმში თუ სოხუმში, ერევანში თუ ფოთში, კიროვაბადსა თუ რუსთავში...

მას — რესპუბლიკური კატეგორიის არბიტრს ფეხბურთში — მიანდეს თბილისის „დინამოს“ ქუთაისის „ტორპედოს“, მინსკის „დინამოს“, მოსკოვის „ტორპედოს“, ალმა-ათის „ქაირათისა“ და სხვა გუნდების ამხანაგური მატჩების მსაჯობა ბათუმის სტადიონზე, სჯიდა იგი „ბ“ კლასის საკავშირო ჩემპიონატის შეხვედრებსაც. 1971 წელს ო. მურვანიძემ უმსაჯა თბილისისა და ბათუმის ჟურნალისტთა გუნდების მატჩსაც...

— გამოგიტყდებით, განსაკუთრებით მსიამოვნებდა სწორედ ამ შეხვედრის მსაჯობა, თვითონაც ხომ ჟურნალისტად ვთვლი თავს, სპორტულ ჟურნალისტად. აგერ უკვე ორი ათეული წელიწადია ვთანამშრომლობ — „ლელოში“, „საბჭოთა აჭარაში“, „სოვეტსკაია ადჟარიაში“, ხშირად გამოვდივარ აჭარის რადიოთი, ცხადია სპორტულ თემებზე. —

აი, უკვე მე-15 წელიწადია, ოთარ მურვანიძე „ლელოს“ კორესპონდენტია აჭარის ავტონომიურ საბჭოთა რესპუბლიკაში. მკითხველს, ცხადია, ახსოვს მისი საქმიანი, ოპერატიული მასალები ფეხბურთზე, ჭიდაობაზე, მაგიდის ჩოგბურთზე, ცურვაზე, ტანვარჯიშზე, საინტერესო ჩანახატები რუსუდან სიხარულიძეზე, სარქის სარხოიანზე, გიორგი თარგამაძეზე, ვასილ გაროზაშვილზე, გიორგი გოგიჩაიშვილზე, გივი ზამბახიძეზე, ლერი ვერულიძეზე...

ბეჭდვითი სიტყვის დღეს შემოქმედებით წარმატებებს ვუსურვებთ ჩვენი გაზეთის ერთ-ერთ აქტიურ კორესპონდენტს ოთარ მურვანიძეს, დაე, დიდხანს ისტამბებოდეს ხელმოწერა: „ო. მურვანიძე, „ლელოს“ კორ.“

ო. ნოზაძე.

• • •

ფიზიკური კულტურისა და სპორტის პროპაგანდის საქმეში გაწეული ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის, ბეჭდვითი სიტყვის დღესთან დაკავშირებით გაზეთ „ლელოს“ კორესპონდენტი აჭარის ასსრ-ში ოთარ მიხეილის ძე მურვანიძე საქართველოს სპორტკომიტეტის სიგელით დააჯილდოვდა.

● ჭადრაკი

## ნახევარფინალისტები

**თითქმის** მთელი გაზაფხული გრძელდებოდა ქალთა და ვაჟთა მსოფლიო პირველობების პრეტენდენტთა მეოთხედფინალური მატჩები. დაძაბულმა ბრძოლამ გამოავლინა ნახევარფინალისტები.

პრეტენდენტ ქალთა შეხვედრები ნ. გაფრინდაშვილი — ი. ლევიტინას მატჩით (მარტი-აპრილი, ქ. ლვოვი) დაიწყო. ორთაბრძოლა ლევიტინამ მოიგო — 6:4 (+6 —4=0).

ამ შეხვედრის მეწყვილე ნ. ალექსანდრია — ტ. ლემაჩკოს (შვეიცარია) მატჩი ჩატარდა აპრილში, ქ. ალიკანტეში (ესპანეთი) მძაფრ ჭიდილში გაიმარჯვა ალექსანდრიამ — 5,5:4,5 (+4 —3=3).

ნ. იოსელიანი — ლიუ შილანის (ჩინეთი) მატჩს მარტ-აპრილში ქ. ფელდენმა (ავსტრია) უმასპინძლა. იოსელიანმა დამაჯერებლად დაამარცხა მეტოქე — 6:3 (+4 —1=4).

ამავე პერიოდში ბად-კისინგენში (გფრ) მ. მურეშან (რუმინეთი) — ლ. სემიონოვას შეხვედრა გაიმართა. აქ უძლიერესის გამოვლინებას ათივე პარტიის თამაში დასჭირდა. მატჩი მოიგო სემიონოვამ — 5,5:4,5 (+4—3=3).

ამრიგად, ნახევარფინალებში ერთმანეთს შეხვდებიან: ნანა ალექსანდრია (დაიბადა 13. X. 1949. ფიდე-ს რეიტინგი 2355) — ირინა ლევიტინა (8. VI. 1954; 2210) და ნანა იოსელიანი (12. II. 1962; 2295) — ლიდია სემიონოვა (21. XI. 1949; 2225).

ქალთა ნახევარფინალურ მატჩებშიც 10-10 პარტია უნდა გათამაშდეს.

პრეტენდენტ ვაჟთა ორთაბრძოლები გ. კასპაროვ — ა. ბელიავსკის მატჩით გაიხსნა (თებერვალი-მარტი, მოსკოვი). გაიმარჯვა კასპაროვმა — 6:3 (+4—1 =4).

ასეთივე ანგარიშით — 6:3 დასრულდა ვ. კორჩნოი (შვეიცარია) — ლ. პორტიშის (უნგრეთი) შეხვედრა, რომელიც მარტ-აპრილს ბად-კისინგენში (გფრ) ჩატარდა.

ვ. სმისლოვ — რ. ჰიუბნერის (გფრ) მატჩი (მარტი-აპრილი, ფელდენი) ყაიმით დასრულდა — 5:5. დამატებითმა ოთხმა პარტიამ (ყველა ყაიმით დამთავრდა) რომ ვერაფერი შეცვალა — 7:7 (+1—1=12), საჭირო შეიქნა კენჭისყრა. ბედმა სმისლოვს გაუღიმა.

ყველაზე ბოლოს დამთავრდა ზ. რიბლი — ე. ტორეს მატჩი (აპრილი, ალიკანტე). ანგარიშით 5,5:4,5 (+2—1=7) გაიმარჯვა რიბლიმ.

ნახევარფინალურ მატჩებში ერთმანეთის მეტოქენი იქნებიან: გარი კასპაროვი (13. IV. 1963; 2690) — ვიქტორ კორჩნოი (23. VI. 1931; 2600) და ვასილ სმისლოვი (24. III. 1921; 2595) — ზოლტან რიბლი (6. IX. 1951; 2595).

პრეტენდენტ ვაჟთა ნახევარფინალურ მატჩებში 12-12 პარტია გათამაშდება.

ნახევარფინალური მატჩის ყაიმით დამთავრების შემთხვევაშიც (ქალებთან 5:5, ვაჟებთან 6:6, ანგარიშის დროს) მეტოქენი დამატებით კიდევ ოთხ პარტიას გაითამაშებენ. თუ ფინალისტი მაინც ვერ გამოვლინდება, მაშინ მას კენჭისყრა დაასახელებს.

დებულებით ნახევარფინალური მატჩები 1 აგვისტომდე უნდა ჩატარდეს, მაგრამ შესაძლებელია ეს ვადა გადაიწიოს.

სად და როდის გაიმართება ეს მატჩები, უახლოეს ხანში ფიდე-ს საგანგებო სხდომა გადაწყვეტს.

თ. გიორგაძე.

● ტყვიის სროლა

## მაღალი ოსტატობა

**სოხუმის** „დინამოს“ სასროლეთზე გაიმართა საკავშირო შეჯიბრება ტყვიის სროლაში. ასპარეზობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს წარმომადგენლებმაც. ორმა თბილისელმა მსროლელმა სროლის მაღალი კლასი აჩვენა ოლიმპიურ ვარჯიშებში. სპორტის ოსტატმა ვ. დაუშვილმა პნევმატური პისტოლეტით 10 მ-ზე სროლაში ორმაგ წარმატებას მიაღწია. მან 589 ქულით (600 შესაძლებლიდან) არა მარტო მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა, არამედ პირველად შეასრულა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი.

საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ნ. ალენიკოვამ ეს შედეგი პნევმატური შაშხანით 10 მ-ზე სროლაში გაიმეორა. ნატაშა 400 შესაძლებლიდან 388 ქულით VII ადგილზე გავიდა.

რ. კაცობაშვილი.

პანორამა

● წყალში ხტომა

**ტეხასის** შტატის ქალაქ ვუდლენდში დამთავრდა მსოფლიოს თასის გათამაშება წყალში ხტომაში. საბჭოთა სპორტსმენებიდან წარმატებას მიაღწია 15 წლის პენზელმა მოსწავლემ ა. ლობანკინამ, რომელმაც კოშკიდან ხტომაში II ადგილი დაიკავა. გაიმარჯვა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სპორტსმენმა ჩჟოუ ხუნმა. ტრამპლინიდან ხტომაში საუკეთესო იყო გამარჯვებულის თანამემამულე ლი იხუა.

ვაჟთა შორის პროგრამის ორივე სახეობაში პირველობდა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, 23 წლის გ. ლუგანისი (აშშ). მოსკოვის ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალოსანი ერევნელი დ. ამბარცუმიანი კოშკიდან ხტომაში მესამე იყო.

● მაგიდის ჩოგბურთი

**ტოკიოში** გამართულ მაგიდის ჩოგბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატში უკვე გამოვლინდნენ პირველი გამარჯვებულნი. ისე, როგორც წინა პირველობაში, გუნდური ოქროს მედლები ამჯერადაც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მაგიდის ჩოგბურთელებმა მოიპოვეს — მათ ფინალში დაამარცხეს იაპონელები 3:0. მესამე ადგილისათვის ბრძოლაში სსრ კავშირის ქალთა ნაკრები დამარცხდა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მაგიდის ჩოგბურთელებთან — 1:3.

ვაჟთა გუნდურ ტურნირში მეორე წელია ზედიზედ იმარჯვებენ ჩინელი სპორტსმენები, რომლებმაც ფინალში დაამარცხეს შვეციის ნაკრები — 5:1. მესამე ადგილისათვის ბრძოლაში უნგრელებმა სძლიეს ინგლისელებს — 5:2. საბჭოთა ვაჟთა ნაკრები გუნდი მე-16 ადგილზე გავიდა და ამით დაკარგა მომავალ მსოფლიო ჩემპიონატში უძლიერესთა შორის გამოსვლის უფლება.

● ხელბურთი

**კიევის** „სპარტაკის“ ხელბურთელ ქალთა გუნდმა საპასუხო ფინალური მატჩი მოუგო იუგოსლავიის „რადნიჩკის“ (ბელგრადი) — 25:17 (12:9). პირველ ფინალურ შეხვედრაში გაიმარჯვეს საბჭოთა ხელბურთელებმა (23:19). მათ მეცხრედ მოიპოვეს ევროპის ჩემპიონთა თასი.

• • •

**ევროპის** ქვეყნების თასების მფლობელთა თასი პირველად მოიგეს მინსკის ასკ-ს ხელბურთელებმა. განმეორებით შეხვედრაში ისინი დამარცხდნენ ბუქარესტის „დინამოსთან“ შეხვედრაში (24:26), მაგრამ რაკი პირველი მატჩი უფრო დიდი ანგარიშით (34:22) ჰქონდათ მოგებული, თასიც მათ დარჩათ.

## „სპორტლოტო“

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა 30 აპრილს გამართული „სპორტლოტოს“ მორიგი, მე-18 ტირაჟების შედეგები.

**„სპორტლოტო 6 49“-დან:** ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო, ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (14 ბარათი) მოგება 3663 მანეთია, ოთხისთვის (928 ბარათი) — 55, სამისთვის (17166 ბარათი) — 4.

**„სპორტლოტო 5 36“-დან:** ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (3 ბარათი) მოგება 10000 მანეთია, ოთხისთვის (993 ბარათი) — 271, სამისთვის (46306 ბარათი) — 11.

მოგებული თანხის განაღდება 11 მაისიდან 11 ივნისის ჩათვლით.

რედაქტორი ა. ბასილაია.

ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი

(აკ. წერეთლის პრ. № 2)

ფეხბურთი

სსრ კავშირის ჩემპიონატი

„დინამო“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი)

**7 მაისს** — სათადარიგო შემადგენლობანი.

დასაწყისი 19 საათზე.

**8 მაისს** — ძირითადი შემადგენლობანი.

დასაწყისი 19 საათსა და 30 წუთზე.

ორგანიზაციებს ბილეთები მიეყიდებათ 5 და 6 მაისს 10 საათიდან. ბილეთების საერთო გაყიდვა 7 და 8 მაისს სტადიონის № 1-№ 5 და № 9-№ 16 სალაროებში 11 საათიდან.

სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატებისა და დამსახურებული მწვრთნელების, ოლიმპიური ჩემპიონების, მსოფლიოსა და ევროპის რეკორდსმენებისა და ჩემპიონებისთვის — № 6 სალაროში, სსრ კავშირისა და საქართველოს უმაღლესი საბჭოების დეპუტატებისთვის, გმირებისთვის — № 7 სალაროში, დიდი სამამულო ომის ინვალიდებისთვის — № 8 სალაროში.

ნუ დავკარგავთ საუნჯეს!

## გიწვევთ ახალსოფლის საჭიდაო



**სიახლე** ხშირად ერთგვარი მოკრძალებით მკვიდრდება, მაგრამ, როცა, საქმე გვაქვს მრავალსაუკუნოვან ეროვნულ ტრადიციასთან, აქ ყოველგვარი ეჭვი იმაზე ვაი თუ არ გამოვიდესო, სწორედ რომ უადგილო გახლავთ. დიახ, ქართული ჭიდაობის დღეზე მოგახსენებთ. მართალია, ეს ზეიმი წელს პირველად უნდა მოეწყოს, მაგრამ ვინ იფიქრებს, რომ ეს დღე ფორმალურ სახეს მიიღებს და უღიმღამოდ ჩაივლის?

ჩვენი მადლიანი ჭიდაობა, რომელიც ასე გვარწმუნებს ქართველი კაცის გამჭრიახობაში, მოხერხებულობაში, სიჩაუქეში, ყოველთვის ანდამატური ძალით იზიდავდა დიდსა და პატარას, ყოველთვის დიდ პატივად ითვლებოდა სახელდახელოდ შეკრულ წრეში განავარდება და მეტოქესთან შერკინება.

ეს ერთი ხანია ჩვენი თბილისქალაქის ერთ-ერთი უძველესი უბანი რიყე იქცა ჭიდაობის არენად, სადაც კვირა დღეს თავს იყრიან მოჭიდავენი და ჭიდაობის ნამდვილი ტრფიალნი... ეს შეხვედრები წინ უძღვის 18 სექტემბერს, როცა აქ ჭიდაობის დიდი დღესასწაული გაიმართება.

და განა მარტო თბილისი ემზადება ჭიდაობის დღისათვის? ამ დღეს მოუთმენლად ელიან საგარეჯოელები და თელაველები, კასპელები და მცხეთელები, ხანდაკელები და კავთისხეველები, ზუგდიდელები და მესტიელები, სამტრედიელები და ცხაკაიელები. ერთი სიტყვით, ყველა, ვისთვისაც ძვირფასია ეს მართლაც ეროვნული განძი. ისინი თავიანთი ცეცხლოვანი პაექრობით პატივს მიაგებენ წარსულში სახელგანთქმულ ფალავნებს და ახალი გამარჯვებებით ასახელებენ მშობლიურ კუთხეს, მთელს ჩვენს ქვეყანას.

**ჭიდაობის დღისათვის ერთ-ერთი მზადების ეტაპი 10 მაისს ყვარლის რაიონის ახალსოფლის საჭიდაოზე ჩაივლის. აქ გამოსვლისა და საკუთარი ძალის შემოწმების საშუალება მიეცემა ყველა მსურველს — ასაკისა და წონითი კატეგორიის განურჩევლად.**

**მაშ ასე, 10 მაისს მოჭიდავეებს იწვევს ახალსოფლის არენა.**

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29. ИНДЕКС 66435 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 უე 07556